პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 აპრილი ხუთშაბათი 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 96 (14396)

ᲥᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

მეტალურგთა ნობათი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელი მეტალურგები წარმატებით შრომობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათ ხუთწლედის მეოთხე წლის პირველ კვარტალში სამშობლოს მისცეს ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი შენადნობები, გადაჭარბებით შეასრულეს რეალიზაციის გეგმა, დაზოგეს 11.800 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და ინარჩუნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც გასული წლის მეოთხე კვარტალში ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის დაიმსახურეს.

მეტალურგებმა შრომის ნაყოფიერების დავალებაც შეასრულეს, გა

კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილება ბინალის გადახდევინების შესახებ კოლმეურნეს შეუძლია გაასაჩივროს სახალხო სასამართლოში.

V. კოლმეურნეობის სანარდო-სამეურნეო და საშინაანსო საქმიანობა

14. კოლმეურნეობა თავის მეურნეობას უძღვება კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით და იყენებს წარმოების ორგანიზაციის ყველაზე პროგრესულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მაღალი ხარისხის რაც შეიძლება მეტი პროდუქციის მიღებას.

გეგმების შემუშავებისას კოლმეურნეობა ითვალისწინებს საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას, სახელმწიფო შესყიდვათა გეგმის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციის ხელშეკრულებების შესრულებას და მარცვლეულისა და სახელმწიფოსათვის საჭირო სხვა პროდუქციის გეგმის გადამეტებით მიყიდვას, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

15. კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის, მორალური და მატერიალური სტიმულების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, რომელთა მიზანია წარმოების განვითარება და მეურნეობის რენტაბელობის ამაღლება.

16. კოლმეურნეობის გამგეობა და ყველა წევრი ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ:

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა მისი ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის, იმ დარგების უპირატესი განვითარების გზით, რომლებისთვისაც საუკეთესო ბუნებრივ-ეკონომიური პირობებია;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველზე;

მეცხოველეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდა, ჯიშთასანაშენო საქმის გაუმჯობესება, ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესების დაცვა, მეცხოველეობისათვის მტკიცე და მყარი საკვები ბაზის შექმნა;

წარმოებაში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა; მიწების მელიორაცია და ქიმიზაცია;

ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა მანქანების, მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, შენობებისა და ნაგებობების ეფექტიანი გამოყენება და მოვლა.

საწარმოო შენობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების, გზების, წყალსამეურნეო და სხვა ნაგებობების მშენებლობა მეურნეობის განვითარებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანების გეგმების შესაბამისად.

17. შრომითი რესურსებისა და ნედლეულის ადგილობრივი წყაროების უფრო სრული და თანაბარი გამოყენების, საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების მიზნით კოლმეურნეობა ქმნის და ავითარებს დამხმარე საწარმოებს, აგრეთვე სხვადასხვა სარეწებს; შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყაროს სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ პერიოდებში კოლმეურნეთა ძალებით სხვადასხვა ნაკეთობისა და საქონლის წარმოებისათვის კოლმეურნეობაში ფილიალების (საამქროების) შესაქმნელად.

18. კოლმეურნეობას შეუძლია ნებაყოფლობითს საწყისებზე მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაში, შევიდეს გაერთიანებებსა და კავშირებში.

19. კოლმეურნეობას კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლია თავისი სახსრების ნაწილი გაერთიანოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრებთან კოლმეურნეობაში წილობრივ საწყისებზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებასა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

20. კოლმეურნეობა დებს ხელშეკრულებებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის, მანქანების, მასალების, პირუტყვისა და სხვა ქონების შესყიდვის, დამხმარე საწარმოებისა და სარეწების, ნახევარფაბრიკატებისა და ნაწარმის გაყიდვის, სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის შესახებ, ამყარებს აგრეთვე სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელიც შეესაბამება მისი საქმიანობის მიზნებს.

21. კოლმეურნეობა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ხსნის ანგარიშს ანგარიშსწორებისა და ფულადი სახსრების შენახვისათვის და აწარმოებს სალაროს ყველა ოპერაციას და საანგარიშსწორებო ოპერაციებს დადგენილი წესების შესაბამისად.

კოლმეურნეობის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა ან გაცემა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში წარმოებს კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულებით.

კოლმეურნეობას შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტებით.

კოლმეურნეობის ანგარიშიდან სახსრების გადარიცხვასა თუ გაცემაზე კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულებანი, აგრეთვე კოლმეურნეობის საკრედიტო ვალდებულებანი ძალამოსილია, თუ არის კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერა.

22. კოლმეურნეობა აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ნერგავს აღრიცხვის მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, ადგენს ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმების მიხედვით და დადგენილ ვადაში წარუდგენს მას შესაბამის ორგანოებს.

23. კოლმეურნეობა პასუხისმგებელი არ არის კოლმეურნეობის წევრთა ვალდებულებებისა და ვალისათვის. კოლმეურნეობის წევრები პასუხისმგებელი არ არიან თავიანთი ქონებით კოლმეურნეობის ვალდებულებებისა და ვალისათვის.

VI. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დისციპლინა

24. კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში ყველა სამუშაო სრულდება კოლმეურნეთა პირადი შრომით.

სპეციალისტებისა და სხვა მუშაკების დაქირავება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობაში არა ჰყავთ შესაბამისი სპეციალისტები, ან როცა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოები ვერ შესრულდება საჭირო ვადებში კოლმეურნეთა ძალებით.

კოლმეურნეობა ნერგავს შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, ზრუნავს საზოგადოებრივ წარმოებაში მუშახელის სრული და რაც შეიძლება რაციონალური გამოყენებისათვის.

25. კოლმეურნეობაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა და განაწესი, დასასვენებელი დღეების, ყოველწლიური ანაზღაურებული შვებულებების მიცემის წესი, აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომისუნარიანი კოლმეურნეების შრომითი მონაწილეობის მინიმუმი რეგულირდება კოლმეურნეობის შინაგანაწესით.

26. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმებს — უბნებს, ფერმებს, ბრიგადებს, რგოლებსა და სხვა საწარმოო ქვეგანაყოფებს ადგენს და იყენებს კოლმეურნეობა მეურნეობის კონკრეტული პირობებისა და წარმოების მექანიზაციის, სპეციალიზაციისა და ტექნოლოგიის დონის მიხედვით.

საწარმოო ქვეგანაყოფების შემადგენლობაში კოლმეურნეებს არჩევენ კვალიფიკაციის, მუშაობის გამოცდილების, ჩვევების, საცხოვრებელი ადგილის, პირადი სურვილის გათვალისწინებით.

კოლმეურნეობის საწარმოო ქვეგანაყოფებს მთელი რიგი წლებით მიუჩენენ მიწის ნაკვეთებს, ტრაქტორებს, მანქანებსა და ინვენტარს, მუშა და პროდუქტიულ პირუტყვს, საჭირო ნაგებობებსა და წარმოების სხვა საშუალებებს.

კოლმეურნეობის საწარმოო ქვეგანაყოფების საქმიანობა ხორციელდება შინასამეურნეო ანგარიშსწორების საფუძველზე.

27. კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა. შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობაში წარმოებს თვითეული კოლმეურნის მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, პრინციპით: კარგი შრომისათვის, უკეთესი შედეგებისათვის — უფრო მაღალი ანაზღაურება.

კოლმეურნეობაში იყენებენ შრომის ან სანარდო ანაზღაურებას შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისათვის, წარმოებული პროდუქციისათვის, ან აკორდულ-პრემიულს, ანდა დროითს, დადგენილი ფასდებებისა და განაკვეთების მიხედვით. კოლმეურნის მიზეზით უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს არ ანაზღაურებენ ან ანაზღაურების ოდენობა შესაბამისად მცირდება.

გამომუშავების ნორმებისა და სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების ფასდების შემუშავება და საჭიროების დროს გადასინჯვა ხდება კოლმეურნეების და სპეციალისტების ფართო მონაწილეობით, მეურნეობის კონკრეტული პირობების საფუძველზე, და მათ ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა.

28. საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობისათვის კოლმეურნეობა აწესებს კოლმეურნეობის წევრთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით, მისი ხარისხის გაუმჯობესებით და თვითღირებულების შემცირებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით, შრომის ძირითად ანაზღაურებასთან ერთად იყენებენ დამატებით ანაზღაურებას და სხვა სახეობათა მატერიალურ სტიმულირებას.

კოლმეურნეობის წევრებს, რომლებმაც არასაპატიო მიზეზით ვერ შეასრულეს საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის დადგენილი მინიმუმი, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად არ მიეცეთ დამატებითი ანაზღაურება და მატერიალური წახალისების სხვა სახეობანი.

29. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კოლმეურნეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კოლმეურნეობაში იქმნება შრომის მიხედვით განაწილების ნატურალური ფონდი, რომელშიც გამოიყოფა მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების საერთო მოსავლის, აგრეთვე საკვების გარკვეული ნაწილი. ამ პროდუქტებსა და საკვებს აძლევენ ან მიჰყიდიან კოლმეურნეებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი რაოდენობითა და წესით.

30. კოლმეურნეობის გამგეობა უზრუნველყოფს კოლმეურნეებისათვის კუთვნილი ხელფასის დროულ ანაზღაურებას. ამასთან ფულის გაცემა ხდება სულ ცოტა თვეში ერთხელ, ხოლო ნატურალური პროდუქცია გაიცემა მისი მიღების კვალობაზე.

კოლმეურნეებთან საბოლოო ანგარიშსწორება წარმოებს კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

31. კოლმეურნეობის გამგეობა, ხელმძღვანელობს რა ამ წესდებით, ამუშავებს დებულებებს შრომის ანაზღაურებისა და შინასამეურნეო ანგარიშსწორების შესახებ, რომლებსაც ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება.

32. ყველა სამუშაო კოლმეურნეობაში ხორციელდება უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების დადგენილი წესების დაცვით.

კოლმეურნეობა გამოჰყოფს საჭირო სახსრებს უსაფრთხობის ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის ღონისძიებებისათვის, სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და დამცავი სამარჯვების შეძენისათვის, რათა დადგენილი ნორმების მიხედვით მისცენ ან მიჰყიდონ ისინი კოლმეურნეებს.

33. კოლმეურნეობის წევრ ქალებს აქვთ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების უფლება; ორსულ ქალებს ეძლევათ უფრო მსუბუქი სამუშაო; ძუძუთა ბავშვების დედებს ექმნებათ საჭირო პირობები ბავშვების დროული კვებისათვის, მათ შეიძლება მიეცეთ დამატებითი შვებულება.

34. წარმოებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვისათვის, საზოგადოებრივი სახსრების დაზოგვისათვის, საკოლმეურნეო წარმოებაში მრავალი წლის უმწიკვლო მუშაობისა და კოლმეურნეობის წინაშე სხვა დამსახურებისათვის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება ან გამგეობა იყენებენ კოლმეურნეთა წახალისების შემდეგ ღონისძიებებს:

მადლობის გამოცხადება;

პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

საპატიო სიგელით დაჯილდოება;

საპატიო დაფაზე ან საპატიო წიგნში შეტანა;

„დამსახურებული კოლმეურნის“ და „საპატიო კოლმეურნის“ წოდებათა მინიჭება კოლმეურნეობის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების შეხედულებისამებრ შეიძლება დაწესდეს წახალისების სხვა ღონისძიებებიც.

„დამსახურებული კოლმეურნისა“ და „საპატიო კოლმეურნის“ წოდებანი კოლმეურნეებს ენიჭებათ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, კოლმეურნეობის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

35. შრომის დისციპლინის ან კოლმეურნეობის წესდების დარღვევისათვის დამნაშავეებს კოლმეურნეთა საერთო კრებამ ან კოლმეურნეობის გამგეობამ შეიძლება დააკისრონ შემდეგი სასჯელი:

გაკიცხვა;

საყვედური;

სასტიკი საყვედური;

ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა სამ თვემდე ვადით;

თანამდებობიდან განთავისუფლება;

გაფრთხილება კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ.

კოლმეურნეობიდან გარიცხვა შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც უკიდურესი ღონისძიება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ შრომის დისციპლინას ან კოლმეურნეობის წესდებას, მას შემდეგ, რაც ამ პირთა მიმართ უკვე გამოყენებული იყო დასჯის სხვა ღონისძიებანი, კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება კოლმეურნეობის წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

კოლმეურნეობიდან გარიცხულ პირებს ჩამოერთმევათ კოლმეურნეობის წევრის უფლებანი, რომლებიც დადგენილია ამ წესდებით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრებსა და სარევიზიო კომისიის წევრებს სასჯელი შეიძლება დაადოს კოლმეურნეთა საერთო კრებამ, ხოლო მთავარ (უფროს) სპეციალისტებს, მთავარ ბუღალტერსა და საწარმოო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს — კოლმეურნეობის საერთო კრებამ ან გამგეობამ.

VII. კოლმეურნეობის საერთო პროდუქციისა და შემოსავლის განაწილება

36. შემოსავლის განაწილების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაგროვებისა და მოხმარების სწორი შეხამება, საწარმოო, სადაზღვევო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საზოგადოებრივი ფონდების განუწყვეტელი ზრდა, კოლმეურნეთა ცხოვრების დონის ამაღლება.

კოლმეურნეობის მიერ წარმოებული საერთო პროდუქციიდან ხდება მის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების (ძირითადი ფონდების ამორტიზაცია, თესლის, საკვების, სასუქების, ნავთობპროდუქტების დანახარჯები, მიმდინარე რემონტის ხარჯები და სხვა.) ანაზღაურება.

მიღებული საერთო შემოსავლის ხარჯზე კოლმეურნეობა ქმნის შრომის ანაზღაურების ფონდს.

წმინდა შემოსავალს კოლმეურნეობა იყენებს იმისათვის, რომ:

გადაუხადოს სახელმწიფოს გადასახადები და შეიტანოს ფულადი გადასახდელები;

გაადიდოს ძირითადი და საბრუნავი ფონდები;

შექმნას კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდი, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფისა და მატერიალური დახმარების ფონდი;

მატერიალურად წაახალისოს კოლმეურნეები და სპეციალისტები;

შექმნას და შეავსოს სარეზერვო ფონდები, და სხვა მიზნებისათვის.

ძირითადი და საბრუნავი ფონდების გადიდების ანარიცხები სავალდებულოა; ანარიცხების ოდენობა წესდება ყოველწლიურად, ამასთან გათვალისწინებულია მოთხოვნილება საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი გაუფუყვეტელი ზრდის უზრუნველყოფისათვის საჭირო სახსრებზე.

37. მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოებული ნატურალური პროდუქციიდან კოლმეურნეობა:

ქმნის სათესლე ფონდს სრული მოთხოვნილების ოდენობით;

ასრულებს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმას, აბრუნებს ნატურალურ სესხებს, ქმნის მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების ნატურალურ ფონდს კოლმეურნეებისათვის მისაცემად ან მისაყიდად და შესაძლებლობის შემთხვევაში გეგმის გადამეტებით ყიდის მარცვალს და სახელმწიფოსათვის საჭირო სხვა პროდუქციას;

გამოჰყოფს საკვებს პირუტყვისა და ფრინველის საზოგადოებრივი სულადობისათვის წლიური მოთხოვნილების ოდენობით, აგრეთვე კოლმეურნეებისათვის მისაცემად ან მისაყიდად;

ქმნის სადაზღვევო და გარდამავალ ფონდებს: სათესლე, საფურაჟე და სასურსათო ფონდებს;

გამოჰყოფს პროდუქტებს საზოგადოებრივი კვებისათვის, სბაბავშვო დაწესებულებათა და ობლების შენახვისათვის და პროდუქტებისა და საკვების ნაწილს პენსიონერების, ინვალიდების, კოლმეურნეობის გაჭირვებული წევრებისათვის დახმარების გასაწევად.

დანარჩენ პროდუქციას კოლმეურნეობა მიჰყიდის სამომხმარებლო კოოპერაციას, ყიდის საკოლმეურნეო ბაზარზე, ან იყენებს სხვა საჭიროებისათვის თავისი შეხედულებისამებრ.

38. პროდუქციის რეალიზაციით და სხვა წყაროებიდან მიღებულ ფულად სახსრებს კოლმეურნეობა უწინარეს ყოვლისა იყენებს იმისათვის, რომ ანგარიში გაუსწოროს კოლმეურნეებს შრომის მიხედვით, დაფაროს სხვა საწარმოო დანახარჯები, შეიტანოს სახელმწიფო გადასახდელები და დააბრუნოს ფულადი სესხები. შექმნას და შეავსოს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ფონდები.

VIII. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფა

39. კოლმეურნეობის წევრები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პენსიებს იღებენ მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ქალები კი, ამას გარდა, — დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრებიდან.

40. კოლმეურნეობას შეუძლია თავისი სახსრებიდან საერთო კრების გადაწყვეტილებით კოლმეურნეობის წევრებს მისცეს დახმარება დროებითი შრომისუუნაროობის გამო, შეიძინოს კოლმეურნეებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები და უზრუნველყოს სხვა სახეობათა სოციალური დაზღვევით, აგრეთვე გასცეს კოლმეურნეებისათვის დაწესებული ყოველგვარი პენსიების დანამატები.

კოლმეურნეობის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც პენსიებსა და დახმარებას არ იღებენ, კოლმეურნეობა თავისი სახსრებიდან უწევს მატერიალურ დახმარებას. კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კოლმეურნეობას შეუძლია გამოჰყოს სახსრები კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკებისა და ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების მშენებლობისათვის.

IX. კულტურა, საყოფაცხოვრება, კეთილმოწყობა

41. კოლმეურნეობა ახორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ მიზნით კოლმეურნეობა:

აშენებს და აწყობს საკოლმეურნეო კლუბებს, ბიბლიოთეკებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, ქმნის საბავშვო ბაღებსა და ბაგებს;

ეხმარება მშობლებსა და სკოლას ბავშვების სწორად აღზრდაში, მჭიდრო კავშირი აქვს სკოლასთან, ხელს უწყობს სახალხო განათლების ორგანოებს ბავშვთა საწარმოო სწავლებაში, აძლევს სკოლებს მიწის ნაკვეთებს, ტექნიკას, თესლს, სასუქებსა და ტრანსპორტს, უზრუნველყოფს სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითს მოწყობას კოლმეურნეობაში;

ზრუნავს კოლმეურნეობის წევრთა საწარმოო კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის; დადგენილი წესით სასწავლებლად გზავნის კოლმეურნეებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და სკოლებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე; პირობებს უქმნის კოლმეურნეებს, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობენ;

საჭიროების შემთხვევაში აწყობს საზოგადოებრივ კვებას კოლმეურნეებისათვის;

ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს კოლმეურნეობაში სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში, კოლმეურნეობის წევრებს უფასოდ და დაუყოვნებლივ აძლევს ტრანსპორტს ავადმყოფების მისაყვანად სამკურნალო დაწესებულებებში;

ახორციელებს კოლმეურნეობის დასახლებული პუნქტებისა და კოლმეურნეთა სახლების კეთილმოწყობას, ელექტრიფიკაციასა და რადიოფიკაციას; კოლმეურნეობაში დადგენილი წესით ეხმარება კოლმეურნეებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და შეკეთებაში, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფს კოლმეურნეობაში მომუშავე უბინაო სპეციალისტებს.

X. კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) დამხმარე მეურნეობა

42. კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) საკუთრებაში შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, ფუტკარი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი საკარმიდამო ნაკვეთში სამუშაოდ.

კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) სარგებლობისათვის ეძლევა მიწის საკარმიდამო ნაკვეთი ბოსტნის, ბაღისა და სხვა საჭიროებისათვის 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით, ამ ფართობში იმ მიწის ჩათვლით, რომელიც ნაგებობებს უჭირავს, სარწყავ მიწებზე კი 0,20-მდე ჰექტარის ოდენობით.

საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას დადგენილი ნორმების ფარგლებში განსაზღვრავს კოლმეურნეობის წესდება. ამასთან არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის ადრე მოქმედი წესდების შესაბამისად არის დაფიქსირებული, შეიძლება დარჩეს.

სასოფლო დასახლებული პუნქტების კომპაქტური განაშენიანებისას კოლმეურნეობა კოლმეურნეებს მათი საცხოვრებელი სახლების (ბინების) მახლობლად გამოუყოფს საკარმიდამო ნაკვეთებს ნაკლები ოდენობით, ამასთან აძლევს მიწის ნაკვეთის დანარჩენ ნაწილს დასახლებული პუნქტის საცხოვრებელი ზონის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის მთელი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებულ საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას.

კოლმეურნეობის მიერ დაწესებული ოდენობით საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის უფლება რჩებათ კოლმეურნეთა ოჯახებს (საკოლმეურნეო კომლებს) იმ შემთხვევებში, თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) ყველა წევრი შრომისუუნაროობის ან ინვალიდობის გამო, თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი გაწვეულია ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში, ან არჩეულია არჩევითს თანამდებობაზე, ან დაიწყო სწავლა, დროებით გადავიდა სხვა სამუშაოზე კოლმეურნეობის თანხმობით, ან თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) შემადგენლობაში დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანნი. ყველა სხვა შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების საკითხს წყვეტს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

საკარმიდამო ნაკვეთის გადაცემა სხვა პირების სარგებლობაში ან დაქირავებული შრომის გამოყენებით დამუშავება არ შეიძლება.

კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის მიერ დადგენილი წესით ეხმარება კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში; ასეთ დახმარებას უწევენ პირველ რიგში იმ ოჯახებს, რომელთა შემადგენლობაში არ არიან შრომისუნარიანი პირნი.

კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია სისტემატურად უწევდეს კონტროლს საკარმიდამო ნაკვეთების დადგენილი ოდენობის დაცვას. საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის თვითნებურად გადიდების შემთხვევაში დადგენილ ნორმებზე ზედმეტ ფართობს გამგეობა ჩამოართმევს და ამ ნაკვეთზე მოყვანილ მოსავალს აძლევს კოლმეურნეობას უკანონო სარგებლობის დროს გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად.

43. კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) შეუძლია ჰყავდეს ერთი ძროხა და ხბო და ერთი მოზვერი ან დეკეული, ერთი ნეზავი სამ თვემდე ასაკის გოჭებით, ან ორი გასასუქებელი ღორი, 10-მდე ცხვარი და თხა ერთად, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვრები.

პირუტყვის / შენახვის ნორმების გადიდება კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირად საკუთრებაში, ერთი სახეობის პირუტყვის შეცვლა სხვა სახეობის პირუტყვით ცალკეულ რაიონებში ეროვნული თავისებურებებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიძლება მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

პირუტყვის რაოდენობასა და სახეობებს, რომლებიც კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) შეიძლება ჰყავდეს, დადგენილი ნორმების ფარგლებში განსაზღვრავს კოლმეურნეობის წესდება.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

პროექტი

კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) საერთაშორისო წესდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეებს ეხმარება პირუტყვის შეძენაში, ზოოვეტერინარულ მომსახურებაში, აგრეთვე საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფაში.

პირუტყვის ყოლა წესდებით დაწესებული ნორმების გადამეტებით აკრძალულია.

საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას და პირუტყვის რაოდენობას, რომელიც კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) შეიძლება ჰყავდეს, ადგენს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება ოჯახის წევრთა რაოდენობისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ შეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

44. კოლმეურნეობა კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს აძლევს მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც სოფლად მუშაობენ და კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშებს, მრსამსახურეებს, პენსიონერებსა და ინვალიდებს, თუ არის თავისუფალი საკარმიდამო მიწები, შეიძლება მიეცეთ საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

აღნიშნულ პირებს კოლმეურნეობამ შეიძლება აგრეთვე ნება მისცეს დადგენილი წესით ისარგებლონ საძოვრებით თავიანთი პირუტყვისათვის.

XI. კოლმეურნეობის მართვის ორგანოები და სარევიზიო კომისია

45. კოლმეურნეობის საქმეების მართვა ხორციელდება ფართო დემოკრატიის, საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრაში კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

კოლმეურნეობის საქმეებს განაგებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — კოლმეურნეობის გამგეობა.

46. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება კოლმეურნეობის მართვის უმაღლესი ორგანოა.

საერთო კრება:

იღებს კოლმეურნეობის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი;

ირჩევს კოლმეურნეობის გამგეობას, თავმჯდომარესა და კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას;

ამტკიცებს გამგეობის გადაწყვეტილებას კოლმეურნეობის წევრად მიღების შესახებ და წყვეტს საკითხს კოლმეურნეობის წევრობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის შესახებ;

იღებს კოლმეურნეობის შინაგანაწესს, დებულებებს შრომის ანაზღაურების შესახებ და შიდასამეურნეო ანგარიშსწორების შესახებ;

ამტკიცებს კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო, პერსპექტიულ და წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებს;

ისმენს კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

ამტკიცებს კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშს და ნატურალური და ფულადი ფონდების ოდენობას;

ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობის მთავარი (უფროსი) სპეციალისტებისა და მთავარი ბუღალტრის სამუშაოზე დანიშვნისა და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ;

წყვეტს საკითხებს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში კოლმეურნეობის მონაწილეობის შესახებ, გაერთიანებებში, კავშირებში მისი შესვლის შესახებ, კოლმეურნეობის გამსხვილების ან დაწვრილერთეულების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებას ძალა აქვს, თუ იგი საერთო კრების მიერ არ არის დამტკიცებული.

კოლმეურნეთა საერთო კრება განიხილავს აგრეთვე კოლმეურნეობის საქმიანობის სხვა საკითხებს.

47. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას იწვევს კოლმეურნეობის გამგეობა წელიწადში ოთხჯერ მაინც. კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია აგრეთვე მოიწვიოს კოლმეურნეთა საერთო კრება, თუ ამას მოითხოვს კოლმეურნეობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ კრებას ესწრება კოლმეურნეობის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეებს აცნობებს საერთო კრების მოწვევას კრებამდე არაუგვიანეს შვიდი დღისა.

48. მსხვილ კოლმეურნეობებში, სადაც კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებების მოწვევა ძნელია, იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც საერთო კრება განაგებს, შეიძლება მოიწვიონ რწმუნებულთა კრება.

რწმუნებულებს ირჩევენ კოლმეურნეთა კრებებზე კოლმეურნეობის ბრიგადებსა და სხვა ქვეგანაყოფებში. რწმუნებულთა წარმომადგენლობის ნორმებსა და არჩევის წესს ადგენს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

რწმუნებულთა კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ კრებას ესწრება რწმუნებულთა არანაკლებ სამი მეოთხედისა.

49. კოლმეურნეობის გამგეობა არის აღმსრულებელ-განმკარგულებელი ორგანო, პასუხს აგებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების წინაშე და ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მთელ ორგანიზაციულ, საწარმოო-საფინანსო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და აღმზრდელობითს საქმიანობას.

კოლმეურნეობის გამგეობა აწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას, ყაირათიანად, მომჭირნეობით ხარჯავს მატერიალურ და ფულად სახსრებს, ახორციელებს საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს.

თავის საქმიანობაში კოლმეურნეობის გამგეობა განუწყვეტლივ ეყრდნობა ფართო საკოლმეურნეო აქტივს, ავითარებს და ხმარს უჭერს კოლმეურნეობის წევრთა შემოქმედებითს ინიციატივას საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, განუწყვეტლივ ზრუნავს კოლმეურნეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, გულისხმიერად და ყურადღებით ეკიდება მათი თხოვნისა და წინადადებების განხილვას.

კოლმეურნეობის გამგეობას ირჩევენ სამი წლის ვადით. კოლმეურნეობის გამგეობა თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად აბარებს კოლმეურნეთა საერთო კრებას.

კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებს იწვევენ საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც; გამგეობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედისა.

გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

50. კოლმეურნეთა საერთო კრება სამი წლის ვადით ირჩევს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახორციელებს კოლმეურნეობის საქმიანობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კოლმეურნეობას სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

კოლმეურნეობის გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ერთ-ორ მოადგილეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები, რომლებიც ხდობას ვერ გაამართლებენ, შეიძლება ვადამდე გაიწვიონ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

51. კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის წევრთაგან ნიშნავს ან შრომითი ხელშეკრულებით სამუშაოზე იღებს მთავარ ბუღალტერს.

მთავარი ბუღალტერი აწყობს აღრიცხვა-ანგარიშგებას კოლმეურნეობაში, ახორციელებს ყოველდღიურ კონტროლს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცულობისა და სწორი ხარჯვისადმი. მთავარი ბუღალტერი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებს.

52. კოლმეურნეობის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის გამგეობა კოლმეურნეობის წევრთაგან ნიშნავს ან შრომითი ხელშეკრულებით სამუშაოზე იღებს სპეციალისტებს.

მთავარი (უფროსი) სპეციალისტები პასუხს აგებენ იმ დარგების მდგომარეობისათვის, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, და აწყობენ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას. მთავარი (უფროსი) სპეციალისტების მითითებანი იმ საკითხებზე, რომლებიც მათს გამგებლობაშია, სავალდებულოა კოლმეურნეობის წევრებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობის თანამდებობის პირთათვის.

53. საზოგადოებრივი წარმოების მართვაში კოლმეურნეობის წევრთა უფრო ფართო მონაწილეობისათვის კოლმეურნეობის ბრიგადებსა და სხვა საწარმოო ქვეგანაყოფებში იწვევენ კოლმეურნეთა კრებებს.

ბრიგადის (ქვეგანაყოფის) კოლმეურნეთა კრება:

ირჩევს ბრიგადირს (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელს), რომელსაც შემდგომ ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა;

განიხილავს საგეგმო დავალებას ბრიგადირის (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელის) მუშაობის ანგარიშს და საწარმოო საქმიანობის სხვა საკითხებს;

განიხილავს შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს. კოლმეურნეობის გამგეობაში შეაქვს წინადადებანი წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებათა შესახებ.

კრებას იწვევენ კოლმეურნეობის საწარმოო ქვეგანაყოფის ხელმძღვანელი, გამგეობა ან თავმჯდომარე.

კრებაზე შეიძლება აირჩიონ ბრიგადის (ქვეგანაყოფის) საბჭო. საბჭოს თავმჯდომარე შესაბამისი ქვეგანაყოფის ხელმძღვანელია. საბჭოს უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს კოლმეურნეობის გამგეობა.

ბრიგადირის (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელის) განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო საქმიანობასთან, სავალდებულოა მოცემულ ქვეგანაყოფში მომუშავე ყველა კოლმეურნისათვის. ბრიგადირი (ქვეგანაყოფის ხელმძღვანელი) თავის მუშაობაში ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობასა და თავმჯდომარეს, ხოლო სპეციალურ საკითხებში აგრეთვე მთავარ (უფროს) სპეციალისტებს.

54. კოლმეურნეობის გამგეობისა და თანამდებობის პირთა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის ირჩევენ სარევიზიო კომისიას სამი წლის ვადით. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისია ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით, ანგარიშს აბარებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას და კონტროლს უწევს კოლმეურნეობის წესდების დაცვას, კოლმეურნეობის ქონების დაცულობას, ხელშეკრულებათა და სამეურნეო ოპერაციათა კანონიერებას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვას, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების სისწორეს, აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობისა და თანამდებობის პირთა მიერ კოლმეურნეების საჩივრებისა და განცხადებების დროზე განხილვას.

სარევიზიო კომისია ყოველწლიურად 2-ჯერ მაინც აწყობს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას, პერიოდულად ამოწმებს ბრიგადებისა და სხვა საწარმოო ქვეგანაყოფების სამეურნეო საქმიანობას და იძლევა თავის დასკვნას კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის შესახებ. რევიზიის აქტებს ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება.

55. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს შემოწმებისათვის კოლმეურნეობის თანამდებობის პირებსა და წევრებს მოსთხოვოს საჭირო დოკუმენტები, შეამოწმოს კოლმეურნეობის საწყობები და სხვა სათავსები და საწარმოები, შეიტანოს წინადადებანი კოლმეურნეობის საერთო კრებისა და გამგეობის განსახილველად.

სარევიზიო კომისიის წინადადებანი განიხილება მორიგ საერთო კრებაზე, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობაში შეტანილი წინადადებანი — 10 დღის განმავლობაში.

56. კოლმეურნეობის გამგეობას, თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიას ირჩევენ ღია ან ფარული კენჭისყრით კოლმეურნეთა საერთო კრების შეხედულებისამებრ.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

57. კოლმეურნეობაში შეიძლება შეიქმნას ეკონომიური საბჭო ან ეკონომიური ანალიზის ბიურო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო კომისია, ურთიერთდახმარების სალარო და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ.

58. კოლმეურნეობა ქმნის საჭირო პირობებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმატებითი საქმიანობისათვის, რომლებიც პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშაობენ, რათა კოლმეურნეები აღზარდონ კომუნისტურად, ჩაებან ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება.

XII. კოლმეურნეობის წესდების მიღება და რეგისტრაცია

59. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე სანიმუშო წესდების საფუძველზე მიღებული კოლმეურნეობის წესდება სარეგისტრაციოდ წარედგინება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. კოლმეურნეობის წესდების შემდგომი ცვლილებანი და დამატებანი შეაქვთ ასეთივე წესით.

60. კოლმეურნეობის რეგისტრირებული წესდება ინახება კოლმეურნეობის გამგეობაში. რაიონულ სასოფლო-სამეურნეო ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

61. კოლმეურნეობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით.

კოლმეურნეობა, არის რა სოციალისტური საწარმო, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი და დროშა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ეროზიისაგან ნიადაგების დაცვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის ივნისში მიღებული დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". ამასთან აღინიშნა, რომ გაწეულია გარკვეული მუშაობა ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. სრულდება მინდორსაცავი ტყის გაშენების, ეროზიორბეული ფართობების, ხევების, ღელეებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის სხვა მოუხერხებელი მიწების გამაგრებისა და მოტყვევების დასახული ღონისძიებანი. ციცაბო ფერდობების დატერასება. ღვარცოფსაშინაღმდეგო და ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, გაშენდა ტყის ნარგავები, იქმნება სახელმწიფო და მინდორსაცავი ტყის ზოლები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სახელმწიფო საბჭეო ფონდის მიწებზე.

ამასთან შემოწმებით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ეს ძირითადად აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, ზოგიერთი რაიონის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ჯერჯერობით ყურადღებას არ უთმიხენ ამ დიდნიშვნელოვან საქმეს. მათ 1968 წელს ვერ შეასრულეს ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოთა გეგმები.

გასული წელს ამ ღონისძიებებისათვის მთლიანად რესპუბლიკაში გამოყოფილი სახსრები ათვისებულია მხოლოდ 60 პროცენტით. 1968 წელს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა შესრულდა 60 პროცენტით: გაშენდა 1.959 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 3.006 ჰექტარის ნაცვლად. მოტყვევებულია ციცაბო ფერდობები, ღელეები, ხევები და სხვა მოუხერხებელი მიწები 1.169 ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 1.400 ჰექტარის ნაცვლად, რაც დავალების 83 პროცენტს შეადგენს. მოწყობილია ტერასები 263 ჰექტარ ფართობზე. გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარის ნაცვლად. განხორციელდა ღვარცოფსაშინაღმდეგო და ეროზიისაშინაღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები 2.050 ათასი მანეთის ღირებულების ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.874 ათასი მანეთისა ანუ 71,3 პროცენტი.

